



## საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

### მნიშვნელოვანი ცვლილებები „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში

2016 წლის 2 სექტემბერს ძალაში შევიდა ცვლილებები „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებების თანახმად, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაემატა კიდევ ერთი ფუნქცია - ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის წარმოება.

ეკონომიკური საქმიანობათა რეესტრი უზრუნველყოფს სხვადასხვა სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობებისა და მათი განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციას. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში თავმოყრილი იქნება სრული ინფორმაცია ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის შესახებ.

ცვლილებები ითვალისწინებს სავალდებულო და ნებავოფლობითი რეგისტრაციის შემთხვევებს, სარეგისტრაციო პროცესში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ჩართულობის, გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის შედეგად მზადდება ამონაწერი.

### სექტემბერი 2016

[მნიშვნელოვანი ცვლილებები „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში](#)

[მნიშვნელოვანი ცვლილებები „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში](#)

[მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება](#)

## მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2016 წლის 27 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით.

სასამართლომ განმარტა, რომ სუბიექტის მიერ მონაცემების დამუშავებაზე გამოხატული თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ინფორმირებული და ნათლად უნდა ადგენდეს მონაცემთა სუბიექტის ნებას.

ინფორმირებული თანხმობა გულისხმობს, რომ მონაცემთა სუბიექტი თანხმობას გამოხატავს შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ: მისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს წინასწარ და სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიერ გამოხატული თანხმობა ვერ ჩაითვლება ნებაყოფლობით გამოხატულად და გაცნობიერებულად.

შესაბამისი ინფორმაციის მიღება გულისხმობს პირისათვის ყველა იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომლის გაცნობიერების საფუძველზეც პირს შეეძლება ნებაყოფლობით და ნათლად გამოხატოს თანხმობა. შესაბამისად, წერილობითი თანხმობის ტექსტის შინაარსიდან სრულყოფილად და აშკარად უნდა ჩანდეს რომელი მესამე პირისაგან, რა მიზნით, რა სახისა და რამდენჯერ ხდება პერსონალური მონაცემების გამოთხოვა, დამუშავება თუ გადამოწმება.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

### გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

### გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)



## deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 225 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებრეზს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაართოთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა  
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 შპს დელოიტი და ტუმ. ყველა უფლება დაცულია.